

# კინგის მათემატიკის ოლიმპიადის I ტური

## მე-2 კლასი

- რა უფრო ძვირია 3 სამლარიანი საზამთრო, თუ 2 ხუთლარიანი საზამთრო?  
A. 3 სამლარიანი საზამთრო;  
B. 2 ხუთლარიანი საზამთრო;  
C. თანაბარი ფასი აქვს.
- რა ციფრი უნდა ეწეროს  $\square$ -ის ნაცვლად, რომ უტოლობა  $5 + \square > 13$  იყოს სამართლიანი?  
A. 7  
B. 8  
C. 9
- გამოთვალეთ  $8 - 7 + 6 - 5 + 4 - 3 + 2 - 1$   
A. 5  
B. 4  
C. 3
- ქუდი 7 ლარი ღირს, კაშნე 9 ლარი ღირს, ხელთათმანი კი 8 ლარი. რის ყიდვას ვერ შეძლებს თორნიკე 16 ლარად?  
A. 2 ცალი ქუდის  
B. ქუდის და ხელთათმანის  
C. კაშნეს და ხელთათმანის
- ბურთი სამ ლარზე ძვირია, მაგრამ ათ ლარად ორი ბურთის ყიდვა შეიძლება. რა შეიძლება ღირდეს ბურთი?  
A. 4 ლარი  
B. 2 ლარი  
C. 6 ლარი